ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიენტი დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

*ელექტრონული ტენდერი საქონლის*

*შესყიდვა*

**ქ. ზესტაფონი** **…… 2020 წელი**

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი …… სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ #11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ .....შემდგომში- მიმწოდებელი) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და **№ ……**ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულის სატენდერო წინადადების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება*

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ -“ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,

საქონლის შესყიდვა კოდით : 31300000

*2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. ხელშეკრულების ობიექტია .....

*3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში;

3.2.ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს ----------ლარს;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა).მიაწოდოს ,,შემსყიდველს“ ----------

ბ) გადასცეს ,,შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ,,საქონელი“ და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

დ) მოწოდების ადგილი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები დანართის მიხედვით

ე) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების განხორციელებას;

ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება-ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

*5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს, ტექნიკურ პირობებში მითითებულ პირობებს, მოქმედ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5.2** საგარანტიო ვადა როგორც ავტომობილის შასიზე, ასევე ძარაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ----

თვე;

*6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან -----

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

7.2. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
7.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან;
7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომლები.

## *8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
8.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს' ,,საქონელი" და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის --------
-----
8.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები დანართის მიხედვით.

8.6. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, სათანადო ანგარიშ–ფაქტურის და შესაბამისი ტექნიკური დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც დადასტურებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## *9. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი*

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ლარებში.
9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
9.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტის შედგენის, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე -----
9.4 თუ ანგარიშწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშწორების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს;
9.5. საქონლის მოწოდების ადგილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები დანართის მიხედვით.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით ხელშეკრულების მე–14 მუხლის შესაბამისად.

## 11. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,5%;
11.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10(ათი) დღის ვადაში;
11.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის, ან იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
11.4. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;
11.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

*12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს
---

***13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა და შეწყვეტის პირობები***

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან**.**
13.5**.** შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე, თუ:
ა). შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
13.6. ამ მუხლის მე–3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში მხარეები ვალდებული არიან დაუბრუნონ ერთმანეთს მიღებული საქონელი.

**14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**14.1** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;
**14.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
14.4. ხელშეკრულებების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**15. ფორს-მაჟორი**

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული გარემოებით;
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება იქნეს გამოწვეული ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა მოვლენებით, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
15.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
16.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**17. დასკვნითი დებულებები**

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
17.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ხელშეკრულების შესაბამისად ერთი მხარე უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
17.7. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:** **მიმწოდებელი:**